



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

16/02/2024



MES 1 24 0000188175

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
„ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის
მინიჭების თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14
თებერვლის № 172231 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის № 172231 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების დანართ №1 -ში მისანიჭებელი კვალიფიკაცია მიეთითოს შემდეგი სახით:


„ა) ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
ბ) ლექსიკოგრაფიის მაგისტრი“

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №179610 ოქმის №2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

